

ქალაქ ქუთაისში, არაყიშვილის ქუჩა N3 საცხოვრებელი სახლის  
N9 ბინაზე, მოქალაქე ვლადიმერი ჟორდანიასათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა არაყიშვილის ქუჩა N3 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ვლადიმერი ჟორდანიას განცხადება /2012 წლის 20.12 Nჟ-10638/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, არაყიშვილის ქუჩა N3 საცხოვრებელი სახლი N9 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, არაყიშვილის ქუჩა N3 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვლადიმერი ჟორდანიას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, არაყიშვილის ქუჩა N3 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე /საერთო ფართობი 34,85 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 34,85 კვ.მ, საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობი 19,69 კვ.მ./ მოქალაქე ვლადიმერი ჟორდანიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატვიანიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

ა.ძოწენიძე